



# სამედიცინო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტის გამომცემი

გამოდის 1957 წლიდან

№ 10 (348) დეკემბერი, 2021 წელი

# გ ა ზ ე თ ი



2

0

2

2

გილოცავთ

ახალ წელს!



# თსსუ-ის ჩაქოვილი გიგანტით

ყოველი წლის ბოლოს შეჯამების დრო დგება – დრო, როცა შეიძლება გადახედო განვლილ პერიოდს და გარკვეული დასკვნები გამოიტანო. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიამ კიდევ ერთი წელიწადი მიითვალა. როგორ დარჩება ეს წელი უნივერსიტეტის ისტორიულ მემკვიდრეებში, რა მოუტანა მან თსსუ-ის იმიჯს, მის თანამშრომლებსა და სტუდენტებს, რა შედეგები გვაქვს და როგორ გვესახება ხვალისდელი დღე, – ამ მნიშვნელოვან თემებზე სასაუბროდ ვენვით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას**:

– როგორ შეაფასებთ გასულ 2021 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის?

– რა სირთულის იყო 2021 წელი, ამას საგანგებო ახსნა არ სჭირდება. მსოფლიომ კიდევ ერთი ძალიან რთული წელიწადი გადაიტანა. პანდემიამ და მისმა თანმდევი კომპლექსურმა პრობლემებმა უალერესად რთული გამოწვევების წინაშე დააყენა ყველა ქვეყანა. ცხადია, ეს ვრცელდება საქართველოსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზეც. მიუხედავად ამ ყველაფრისა, გასული წელი (დეკემბრის ბოლოს, 2021 წელს, შეიძლება უკვე გასული წელი ვუნოდოთ) მაინც წინსვლით აღიბეჭდა თსსუ-ის ისტორიამ.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მოქმედმა აკრედიტაციის საბჭომ, საერთაშორისო ექსპერტების დასკვნების საფუძველზე, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, სამედიცინო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების და პროცედურების მიხედვით, 2021 წლის ივნისში, ყველა სტანდარტში უმაღლესი შეფასებით, საერთაშორისო აკრედიტაცია მიანიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამას: დიპლომირებული მედიკოსის ქართულ, ინგლისურ, რუსულენოვან პროგრამებს და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას. აქვე აღვნიშნავ, რომ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და უცხოეთში მედიცინის პროგრამების კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისიის (ECFMG - Educational Commission For Foreign Medical Graduates) ერთობლივი გადამწყვეტილებით, 2024 წლიდან, ევროპულანტიკურ სივრცეში აღიარებული იქნება დიპლომირებული მედიკოსის მხოლოდ ის პროგრამები, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია.

ამ აღიარებამ თსსუ-ის პროფესიული ზრდის პლაცდარმი კიდევ უფრო ძლიერი და მყარი გახადა. შესაძლებლობები გაცილებით გაფართოვდა და თსსუ-ის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის, კვლევაში ჩართული მეცნიერების სამოღვაწეო არეალი მსოფლიოში არაფრით იქნება შეზღუდული.

2021 წლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი გახლდათ ის, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა IAF და IAS-ის აკრედიტაციის მქონე ISO-ს 9001:2015 – ხარისხის მართვის შესაბამისობის სერტიფიკატი მოიპოვა. ეს იმის დასტურია, რომ თსსუ-ის საქმიანობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს საგანმანათლებლო სივრცეში. ISO-ს 9001:2015 სერტიფიკატი, როგორც ავტორიტეტული საერთაშორისო სტანდარტი, გულისხმობს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს მსოფლიოში ფართოდ აღიარებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მეშვეობით,

რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო და საქართველოს საკანონმდებლო ნორმებს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საქართველოში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელმაც IAF და IAS-ის აკრედიტაციის მქონე ISO-ს 9001:2015 – ხარისხის მართვის შესაბამისობის სერტიფიკატი მიიღო!

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თსსუ არის ერთ-ერთი ყველაზე დაცული და უსაფრთხო სივრცე სტუდენტებისთვის, პროფესორებისთვის, აქ დასაქმებული ყველა თანამშრომლისთვის. აცრილთა პროცენტული მაჩვენებელი ჩვენთან მაქსიმალურად მაღალია. რა განსაკუთრებული ღონისძიებები დაგეგმართა ამ შედეგის მიღწევას?

– უპირველესი ამ შედეგის მიღების თვალსაზრისით ის არის, რომ ჩვენ სამედიცინო უნივერსიტეტს წარმოვადგენთ – ექიმების, მათი პედაგოგების, მომავალი ექიმების ერთობლიობას. მე საპასუხო კითხვას დაგისვამთ: სხვაგვარად შეიძლებოდა ყოფილიყო? COVID-19-თან ბრძოლის ამ ურთულეს პერიოდში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) სოციალური პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია. თსსუ – უმაღლესი სამედიცინო განათლების ძირითადი კერა საქართველოში და მისი თანამშრომლები, სტუდენტები, პანდემიის დაწყების დღიდან, აქტიურად არიან ჩართულნი უხილავ მტერთან ბრძოლაში. დღეს, როცა პანდემიის დასრულების გზა ვაქცინაციაზე გადის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, მისი უპირველესი მოვალეობა – შეექმნა ეპიდემიოლოგიურად უსაფრთხო სივრცე 8000-მდე სტუდენტისთვის – დიდი წარმატებით შეასრულა: სადღეისოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების – 89%, ხოლო აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის 93% სრულადაა ვაქცინირებული და ეს დოკუმენტურად დასტურდება. აღნიშნულმა გარემოებამ განსაზღვრა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თითქმის სრულად ფუნქციონირებს არადისტანციურ რეჟიმში. ეს კი ჩვენთვის, როგორც სამედიცინო განათლების კერისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახლავთ. ჯანდაცვის მიმართულების პროგრამების დისტანციური სწავლება წარმოუდგენელია.

– თსსუ-ში მიღებულ განათლებაზე საერთაშორისო მოთხოვნა ისევ მზარდია; რა მიგაჩნიათ ამის მთავარ მოტივატორად?

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი განათლებას აძლევს საერ-



თაშორისო სტუდენტებს მსოფლიოს უკვე 81 ქვეყნიდან, რომელთა რიცხვმაც 2800-ს გადაჭარბა. ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარება და ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს, რაც გლობალური ცვლილებების ეპოქაში უნივერსიტეტის მომავალი განვითარების აუცილებელი პირობაა.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების თავდადება და ყოველდღიური შრომა ჩვენი უნივერსიტეტის წინსვლის საფუძველი იყო მუდამ. რა არის მთავარი მიზეზი, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ასეთი მიმზიდველია მსოფლიოს 81 ქვეყნის ახალგაზრდებისთვის? – ამ წარმატების უკან უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომლის დიდი შრომა და თავდადებაა. თუნდაც ის ბოლოდროინდელი მიღწევები, რომელზეც გესაუბრეთ; ის, რომ 2019 წლის მაისიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამედიცინო განათლების ევროპული ასოციაციის – AMEE-ის წარმომადგენლობა საქართველოში, AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის მსოფლიოში მესამე ცენტრი; ის რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2012 წლიდან მოქმედებს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ვინცევე პროფესორებს ევროკავშირის ქვეყნიდან, აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნიდან ლექციების, პრაქტიკული მეცადინეობების, საჩვენებელი ოპერაციებისა და პაციენტთა კონსულტაციების ჩასატარებლად. უკვე 550-ზე მეტი ასეთი ვიზიტი განხორციელდა.

ჩვენ ვმონაწილეობდით ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში (MEDINE-2). საყურადღებოა, რომ ევროკავშირის არანერვი ქვეყნების უნივერსიტეტებიდან ამ ჯგუფებში მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ანკარას უნივერსიტეტის პროფესორები მუშაობდნენ. ამ ყველაფერს აუცილებლად აქვს მნიშვნელობა საერთაშორისო ავტორიტეტის შექმნის თვალსაზრისით. ამიტომაცაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თსსუ-ში სწავლა საერთაშორისო სტუდენტებისთვის არცთუ იაფია და ბევრ ქვეყანაში არსებულ სწავლის საფასურზე გაცილებით მაღალიცაა, თსსუ-ის ავტორიტეტი აქ სწავლის მზარდი მოთხოვნის ძირითადი საფუძველია. სწავლების მაღალ დონეს უზრუნველყოფს ისიც, რომ სამედიცინო უნივერსიტეტს საკუთარი მძლავრი კლინიკური ბაზები აქვს (3 ჰოსპიტალი და 3 სტომატოლოგიური კლინიკა). ამ ბაზების გარდა, ჩვენი სასწავლო დეპარტამენტები

სხვადასხვა კლინიკაშია განთავსებული. მინდა აღვნიშნო კენ ვოლკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა, სადაც განთავსდა თსსუ-ის სარეაბილიტაციო მიმართულების ყველა სტრუქტურული ერთეული, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტები. ყოველივე ეს თითოეული უნივერსიტეტის მიღწევაა და საფუძველია იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლება ყოველწლიურად უფრო და უფრო მაღალ სტანდარტს აკმაყოფილებს.

– მიუხედავად იმისა, რომ, პანდემიის გამო, მთელ მსოფლიოში სერიოზულად დამუხრუჭდა ეკონომიკური წინსვლა, ინფრასტრუქტურის განვითარება თსსუ-ში არ შეწყვეტილა. რა შეემატა თსსუ-ის ინფრასტრუქტურას?

– მიუხედავად მიმდინარეობს უნივერსიტეტის კეთილმოწყობითი სამუშაოები. დღესდღეობით სრულდება თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის წინ მდებარე ტერიტორია და სკვერის კეთილმოწყობა; საკონფერენციო დარბაზების, კაფეტერიისა და მრავალფუნქციური სარეკრეაციო სივრცის მოწყობის მიზნით, ადმინისტრაციული კორპუსის ვესტიბიულზე დაშენებული სამუშაოები დასრულდა. საბაზისო, თეორიული სწავლებისთვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს უკვე ხუთი სასწავლო კორპუსი აქვს (მეექვსე – ადმინისტრაციული კორპუსი).

ყველაფერს ვაკეთებთ, რომ თსსუ-ის სივრცე იყოს ჯანსაღი, კომფორტული და სასაამოვნო სტუდენტებისთვის. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსების ეზოს, ადმინისტრაციული კორპუსის წინ მდებარე „ბედნიერების სკვერს“ და შენობებს ამშვენებს ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, პროფესორ არსენ გვენეტაძის, იდის მიხედვით შექმნილი სკულპტურები, რომელიც მან თავის Alma Mater-ს საჩუქრად გადმოსცა. საამაყოა, რომ ხელოვნების ეს ნიმუშები საერთაშორისო აღიარების მქონე, სასიქადალო ქართველი მოქანდაკის, ლევან ვარდოსანიძის, შესრულებულია.

ეს ყველაფერი იმედს გვიტოვებს, რომ მიუხედავად სირთულეებისა, ღირსეულად ვაგრძელებთ ცხოვრებას.

– რას გვეტყვი თსსუ-ის კლინიკებზე – როგორ იყო გასული წელი კლინიკებისთვის?

– თავდაც მოგესხენებათ, პანდემიის პირობებში რამხელა დატვირთვა მოდის კლინიკებზე, განსაკუთრებით – თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაზე, სადაც უამრავმა კოვიდიდენიციურებულმა მიიღო მალალი ხარისხის სამედიცინო დახმარება. მიუხედავად ამ მიმე ვითარებისა, სრულდება მიშენებითი სამუშაოები კლინიკის შენობაზე.

თსსუ-ის გივი ყვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის მიმდებარედ ახალი, ხუთსართულიანი ნაგებობის, სამშენებლო სამუშაოები დასრულდა. მშენებლობას და კორპუსის აღჭურვას თსსუ აფინანსებს ჩხეთის განვითარების ფონდის

დასასრული მე-3 გვერდზე



# გილოცავთ!



# თსსუ-ის ჩაქმონი ბიღოსავთი

დასაწყისი მ-2 გვერდიდან

თანამონანილეობით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული სამშრომლო მემორანდუმის საფუძველზე, თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ახალი ნაგებობის ერთ-ერთ სართულზე განთავსდება ბავშვთა ხანგრძლივი მოვლისა და პალიატიური მზრუნველობის ცენტრი, რომელიც აღიჭურვება ჩეხური მხარის მიერ მალალი სტანდარტის სამედიცინო აპარატურით. ამავე მემორანდუმის ფარგლებში, ჩეხეთის განვითარების სააგენტომ, გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკაში განთავსებული სხვა პალატებისთვის, მოაწოდა შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა, რომელიც შეირჩა თსსუ-ის მიერ.

ცხადად შეიძლება ითქვას, რომ კლინიკებისთვის ამ რთულ და განსაკუთრებულ პერიოდში, განვითარების სტაგნაცია არ მომხდარა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჰოსპიტლები და სტომატოლოგიური კლინიკები, არა მარტო სრულყოფილად ასრულებენ თავის მოვალეობებს, არამედ ვითარდებიან კიდევ უფრო მეტად. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროცვას მალალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“ გაფართოვდა. კლინიკამ შეიძინა ახალი კორპუსი. გასულ წელს ამ საავადმყოფოში განლაგდა თსსუ-ის კლინიკური დეპარტამენტები. კლინიკა, ტრადიციული მალალტექნოლოგიური სერვისების მიწოდებასთან ერთად, კოვიდთან ბრძოლის ავანგარდშია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიურმა კლინიკებმა სათანადო რეგულაციების დაცვით, პანდემიის პირობებში შეძლეს სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკური საქმიანობის იმგვარად სრულყოფა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი ტრადიციულ რეჟიმში – არადისტანციურად მიმდინარეობს.

**– მოახლოებულია ახალი წელი და შობა, როგორია თქვენი საახალწლო სურვილები და მილოცვა თსსუ-ის დიდი ოჯახის წევრებისთვის?**

ჩემი საახალწლო სურვილები ყოველთვის უცვლელია:

❖ მტკიცე ჯანმრთელობა, ნარმატება, წინსვლა და კეთილდღეობა ჰქონდეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს, აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალს, საუნივერსიტეტო კლინიკების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების თანამშრომლებს, ყველას, ვინც გულშემატკივრობს და უყვარს სამედიცინო განათლების ეს ამაყი, ტრადიციებით მდიდარი და ბრწყინვალე მომავლისთვის მებრძოლი კერა;

❖ ბედნიერი იყოს ჩვენი სამშობლო, რომლის წიაღშიც იღვწის და დაუღალავად შრომობს ჩვენი სასახლო უნივერსიტეტი;

❖ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის სახელი ამაყად, ამ დიდი ოჯახის მსახურებაში დაუღალავად ვატარო და მრავალი წლის შემდეგაც კი, როცა ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდგარ შენობას, რომელშიც თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება გაატარე, გვერდით ჩაუვლი, ყოველთვის მეთქმოდეს: ბედნიერი ვარ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ღირსეული სახელითა და მომავლით!

ასაუბრა ლელა მუჰაბანიანი

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კვლავს თქვენ გვერდით იბრუნება!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 2022 წელს არაერთი სიახლით ხვდება. 2021 წლის სირთულეების მიუხედავად, რომელიც მთელ მსოფლიოს შეეხო პანდემიისა და მისი თანმდევი პრობლემების სახით, თსსუ ცდილობდა, არ შეეწყვიტა განვითარება როგორც აკადემიური მიმართულებით, ისე ინფრასტრუქტურის სრულყოფის თვალსაზრისით. კერძოდ, განხორციელდა რამდენიმე საინტერესო პროექტი.

თუ რა შედეგით ვხვდებით ახალ 2022 წელს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის თვალსაზრისით, ამ თემაზე სასაუბროდ ვეწვიეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერს, პროფესორ **ზურაბ ორჯონიკიძეს**, რომელმაც აღნიშნა:



კრეაციული სივრცის მოწყობა. – **ბატონო ზურაბ, დიდი ხანია მიმდინარეობს თსსუ-ის მეორე სასწავლო კორპუსის გამაგრებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები. რა მდგომარეობაა ახლა?**

– სულ მალე დასრულდება მეორე სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია. აქ საკმაოდ ფართო მასშტაბის სამუშაოებია ჩატარებული, რასაც ნამდვილად სჭირდებოდა დიდი დრო და ენერჯია. ეს შენობა გადაარჩა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ვინაიდან უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული მძიმე მდგომარეობის გამო, შეუძლებელი იყო შენობის ექსპლუატაცია.

– **კიდევ ერთი დიდი პროექტი ხორციელდება თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტერიტორიაზე – უნივერსიტეტის სასაწყობო მეურნეობის მოწყობა...**

– დიახ, ეს ძალზედ მნიშვნელოვანი პროექტია. იმ მასშტაბის დაწესებულებას, როგორცაა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თავისი სტრუქტურული ერთეულებით, უპირობოდ ესაჭიროებოდა სათანადო სტანდარტების მქონე სასაწყობო მეურნეობა. ეს პროექტი საკმაოდ ბევრ ტექნიკურ და ინფრასტრუქტურულ პრობლემას მოაგვარებს ყოველდღიურ საქმიანობაში.

– **სასიხარულოა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ახორციელებს ისეთ ინფრასტრუქტურულ პროექტებსაც, რომელთა მნიშვნელობაც არ შემოიფარგლება მხოლოდ სასწავლო თუ სამედიცინო თვალსაზრისით.**

– დიახ ასეა, მიმ-

დინარეობს ახალი რეკრეაციული ზონების მოწყობა თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკისა და გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის მიმდებარედ. ეს იქნება ძალიან ლამაზი, გამწვანებული ბალები, სადაც დასვენება ნამდვილად სასიამოვნო გახდება ყველასთვის. ვფიქრობ, რომ დასახლებული პროექტის განხორციელების შედეგად, ქალაქს შეემატება ორი თანამედროვედ მოწყობილი დასასვენებელი ადგილი, რაც პირადად მე ძალიან მახარებს.

– **ახლოდება ახალი წელი, რას უსურვებთ თსსუ-ელებს?**

– მინდა ახალი წელი და შობა მივულოცო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს და თანამშრომელს! პირველ რიგში, ვისურვებდი, დამდეგ 2022 წელს პანდემია სრულად დაგვემარცხებინოს! ასევე, ჩვენი უნივერსიტეტისა და ქვეყნისათვის ბევრი სასიკეთო საქმე დაგვეწყოს და დაგვესრულებინოს! იცხოვრეთ ჯანსაღი ცხოვრების წესით და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კვლავს თქვენ გვერდით იბრუნება!

ასაუბრა ლელა მუჰაბანიანი



ახალი რეკრეაციული ზონის მოდელირებული ვიზუალი – თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ეზო



თსსუ-ის ადმინისტრაციული კამპუსის ახალი ფასაღი



ახალი რეკრეაციული ზონის მოდელირებული ვიზუალი – თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ეზო



# გილოცავთ!



# სამედიცინო მუშაობა ბრძოლაში



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამედიცინო საზოგადოება სტუდენტთა ნებაყოფლობით გაერთიანებაა, რომელიც მიზნად სტუდენტთა პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას ისახავს. საზოგადოება 1947 წელს დაარსდა და აკადემიკოს ივანე თარხნიშვილის სახელს ატარებს. ჩვენთვის, საზოგადოების წევრებისთვის, უდიდესი პატივია ამიერი-კავკასიაში მთავარი სამედიცინო სკოლის, დიდი წარსულისა და ტრადიციების მქონე უნივერსიტეტის სამედიცინო საზოგადოების წევრობა.

1947 წლიდან დღემდე, სამედიცინო საზოგადოების წევრთა რაოდენობამ რამდენიმე ათასეულს მიაღწია. ჩვენს რიგებში ბევრ ცნობილ ექიმს, მკვლევარს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწესა თუ პოლიტიკოსს აღმოაჩენთ. 1998 წლიდან, საზოგადოებას საპატიო წევრებიც ჰყავს.

ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამედიცინო საზოგადოება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს თსუ-ში მეცნიერების განვითარებას და სტუდენტთა ფართო მასების ჩაზმას სამედიცინო-კვლევით მუშაობაში. საზოგადოებისთვის აგრეთვე პრიორიტეტულია, სამედიცინო მიღწევათა პროულარიზაცია, სტუდენტთა ზოგადი თუ პროფესიული შემეცნების გაფართოება და მათში სამედიცინო კვლევის უნარ-ჩვევების

გამომუშავება. რაც შეეხება კონკრეტულად სამედიცინო აქტივობებს, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია შეაჯამოს თსუ-ის სტუდენტთა სამედიცინო მუშაობა ყოველწლიური სტუდენტთა სამედიცინო კონფერენციების სახით, განსაზღვროს სამომავლო პერსპექტივები, გამოსცეს საკუთარი პოლიტიკური მასალები, კონფერენციის შრომათა კრებულები, პრიორიტეტული და პრემიერული სამედიცინო ნაშრომები, ბიულეტენები, ბუკლეტები. აგრეთვე, ორგანიზაციის ეგიდით ტარდება სამედიცინო, სასწავლო და პრაქტიკული შეხვედრები, სიმპოზიუმები, კონგრესები და სხვა სახის ღონისძიებები საუნივერსიტეტო, რეგიონული თუ საერთაშორისო მასშტაბით.

სამედიცინო საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს თსუ-ის სტუდენტი, საექთნო-საბაკალავრო (ექთანი/ბეზიაქალი) პროგრამების სტუდენტი, მაგისტრანტი, რომელიც აღიარებს საზოგადოების წესდებას და შესაძლებლობის და უნარის მიხედვით ჩაებმება სამედიცინო-კვლევით საქმიანობაში. საზოგადოება იცავს მისი წევრების ინტერესებს, კავშირს ამყარებს საქართველოს და უცხოეთის სამედიცინო სკოლების მსგავს სტრუქტურებთან, გარკვეული საკითხის გადასაწყვეტად აწყობს შეხვედრებს, კონფერენციებს, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სოციოლოგიურ გამოკითხვებს; საზოგადოება არის საქართველოს ექიმთა ასოციაციის მედიკოს სტუდენტთა და ახალგაზრდა ექიმთა კომიტეტის კოლექტიური წევრი და აღნიშნული სტრუქტურის საშუალებით იგი ეროვნულ დონეზე ინტეგრირებულია მედიკოს სტუდენტთა ერთიან ქსელში.

დღესდღეობით, სამედიცინო საზოგადოება კვლავ აქტიურად განაგრძობს მუშაობას და, კოვიდპანდემიის მიუხედავად, ცდილობს სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებას შესაბამის ფორმატში, იქნება ეს ონლაინრეჟიმში, თუ აუდიტორიაში. რასაკვირველია, მნიშვნელოვანდ შემაფერხებ-

ლი აღმოჩნდა პანდემია ჩვენთვისაც, თუმცა მაინც მოვახერხეთ რამდენიმე ღონისძიების გამართვა. მათ შორის, გამორჩეულად საინტერესო და კრიტიკულად მნიშვნელოვანია საჯარო ლექცია თემაზე — ახალი კორონავირუსი, რომელიც წარმოადგინა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა, აკადემიურმა დოქტორმა მედიცინის დარგში, პაატა იმნაძემ. ლექციას ესწრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები, ლექტორები, ექიმები და განსხვავებული პროფესიის, არასამედიცინო განათლების მქონე ადამიანები. ლექციის ფარგლებში ბატონმა პაატამ ამომწურავი ინფორმაცია და რეკომენდაციები მიანოდა აუდიტორიას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დღეს ქართველი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით მედიცინის მუშაკებისთვის.

ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მიუხედავად, არ დავარღვივებ ტრადიციას და ყოველგვარი რეგულაციების დაცვით, ჩავატარებთ გაცნობითი, საინფორმაციო შეხვედრას საზოგადოების ახალი წევრებისთვის. შეხვედრით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს. შეხვედრის შედეგად სტუდენტებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია საზოგადოების ისტორიის, სტრუქტურის, მუშაობის პრინციპებისა და მიზნების შესახებ, გაეცნენ აქტივობებს, პროექტებს, რომელთაც ტრადიციულად ხასიათობს აქვთ და საკმაოდ ხშირად იმართება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე. გაცნობითი შეხვედრის ბოლოს, რამდენიმე სტუდენტმა გამოთქვა საზოგადოებაში გაწევრიანების სურვილი.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი, კიდევ ერთი აქტივობა — ტრენინგი „პრევენცია, რომელიც წარმატებას მოგიტანს“. სამედიცინო საზოგადოების ორმა წევრმა, მარიამ ჩხიკვაძემ და ანა ხუნარიამ სტუდენტებს

დეტალური ინფორმაცია მიანოდა იმის შესახებ, თუ როგორ ემუშავება და შეექმნათ სრულყოფილი პრევენცია. ტრენინგი მოიცავდა მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია პრევენციის როგორც ინფორმაციული, ასევე ვიზუალური კუთხით დასახვენად. გარდა ამისა, არსებული სიტუაციის მიუხედავად, ვგეგმავთ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს, რამდენიმე დღეში დაანონსდება კონფერენცია და საჯარო ლექცია.

პანდემიის მიუხედავად, სურვილი გვაქვს დიდი ისტორიის მქონე ივანე თარხნიშვილის სტუდენტთა სამედიცინო საზოგადოების მნიშვნელობა უფრო ფართო მასებისთვის გავხადოთ ცნობადი და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევაში, სწორი მიმართულება მივცეთ სტუდენტობის პერიოდში გამოჩენილ სამედიცინო ინტერესებს, დავეხმაროთ სტუდენტებს, ერთმანეთს დიდი მეცნიერებისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმაში — დიახ, სწორედ ამ საქმეში უნდა დავიხარჯოთ!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამედიცინო საზოგადოების თითოეული წევრი გილოცავთ დამდეგ 2022 წელს, ბედნიერების და წარმატებების წელი ყოფილიყოს, ჩვენი კარი ყოველთვის ღია მეცნიერებით დაინტერესებული სტუდენტებისთვის, გელოდებით.

**ლევან ცაგურიანი,**  
**ივანე თარხნიშვილის**  
**სახელობის სტუდენტთა სამედიცინო**  
**საზოგადოების პრეზიდენტი**

## სტუდენტთა წამოწყება — „კვირით ერთმანეთისთვის“



ერთად დავასრულეთ პანდემია — ამ იდეის გარშემო აუცილებელია ყველა გავერთიანდეთ, რადგანაც კორონავირუსი კვლავ რჩება მსოფლიოს უმთავრეს გამოწვევად. ყოველივე ამის ფონზე არსებობს სკეპტიკური დამოკიდებულება ვაქცინაციის მიმართ. ამისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ჩართვა ვაქცინაციის პროცესში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მნიშვნელოვანი კამპანია წამოიწყეს, რომელიც ემსახურება საზოგადოების ინფორმირებას ვაქცინაციის სარგებლობის შესახებ, ლოზუნგით — „ავიცრათ ერთმანეთისთვის“. სტუდენტების შეხვედრები საზოგადოებასთან მიზნად ისახავს დეტალური ინფორმაციის გაცნობას ვაქცინაციის რისკებსა და სარგებეზე. სარწმუნო ინფორმაციის მიწოდება დაეხმარება გარკვეული ადამიანების ჯგუფებს, ვისაც ჯერ კიდევ არ მიუღია სწორი გადაწყვეტილება.

დენტების აქტიური ჩართულობისა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დროულად მნიშვნელოვან წამოწყებაში მონაწილეობის სურვილი ბევრი უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოთქვეს. ეს წამოწყება თანდათან გაფართოვდა და მთელი საქართველოს სტუდენტობა მოიცვა.

თსუ-ის სტუდენტების მიერ წამოწყებული საყოველთაო კამპანიის — „ავიცრათ ერთმანეთისთვის“ — ფარგლებში სხვადასხვა სახის საინფორმაციო ქმედებაა დაგეგმილი. ერთიანი ძალით

შეძლებთ ადამიანების დარწმუნებას ვაქცინაციის აუცილებლობაში. ესაა უალტერნატივო გზა საკუთარი თავის და სხვების გადასარჩენად და პანდემიის დასამთავრებლად. თსუ-ის სტუდენტების მიერ წამოწყებული კამპანია პანდემიის დამარცხებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

**ინო სანაზარიძე,**  
**თსუ-ის სტუდენტური**  
**თვითმმართველობის**  
**პრეზიდენტი**



## „პირველი მარცხალი“



თსუ-ის სპორტის ცენტრის და ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელის, არაერთი საფეხბურთო ტურნირის მთავარი მსაჯის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ბატონი ვახტანგ ბაქანიძის, ხელმძღვანელობით, მიმდინარე წლის მინურულს სამედიცინო უნივერსიტეტმა სახელოვანი ქართველი ფეხბურთელების — **ალექსანდრე ჩივაძის, გელა კეტაშვილის და ვახტანგ ქორიძის** სახელობის ტურნირის უმასპინძლა. მათთან ერთად მოწვეული გახლდათ დედაქალაქის ფეხბურთის ფედერაციის ექსპრეზიდენტი, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **ავთანდილ კოკია**. უნდა აღინიშნოს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლების — **ლადო გაბეჩავას, მარიამ მერაბიშვილის, თორნიკე ფუტყარაძის, ზაზა გაბაძის, გუკა სოფრომძის, ციცი პაპუნაშვილის**, სოფო სენიაშვილის აქტიურობა თსუ-ში ბოლოდროინდელი სპორტული ცხოვრების გააქტიურების თვალსაზრისით. ტრადიციად ქცეული სახელოვანი ქართველი ფეხბურთელების თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოწვევა საუკეთესო სტიმულია ახალგაზრდების სპორტული ცხოვრებით და შესაბამისად, მათი ჯანსაღი ცხოვრების წესით დაინტერესებისა. დაძაბული შეხვედრიდან „ელიტასა“ და „პირველ მერცხალს“ შორის, ანგარიშით — 7-6, 2021 წლის ტურნირის ჩემპიონი გახდა გუნდი „პირველი მერცხალი“; ამასთან, დასახელდნენ საუკეთესო ფეხბურთელები სხვადასხვა ნომინაციაში — **მირიან ჯაფიაშვილი, მერაბ საძაგლიშვილი, დავით სულხანიშვილი, ადით სურუმი, ლევან გობეჯიშვილი, გოგი ლობჯანიძე**. გულდასაწყვეტია, რომ მატჩში, ტრავმის გამო, ვერ მონაწილეობდა, ასევე, ღირსეული სტუდენტი **დავით უბილავა**, რომელსაც დიდი წვლილი აქვს საერთო წარმატებებში. დასასრულს, საპატიო სტუმრებმა შესაბამისი მედლებით და თასებით დააჯილდოვეს ახალგაზრდები.

**ციცი პაპუნაშვილი,**  
**ფილიპინის ფაქულტეტის სტუდენტი**







